ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N2

დაბა ქედა **25 მარტი, 2026 წელი**

სხდომა დაიწყო 13:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:30 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
მერაბ ტაკიძე - კომისიის წევრი;
არკადი საკანდელიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
არჩილ გორგილაძე - კომისიის წევრი;
მურად დიასამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - გურამ ანანიძე;

საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ციური ზაქარაძე;

საკრებულოს აპარატის დამხმარე სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - თეონა ჯინჭარაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

25.03.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
3	არჩილ გორგილაძე	კომისიის წევრი	
4	არკადი საკანდელიძე	კომისიის წევრი	
5	მურად დიასამიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ტაკიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.**

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე
ამირან ცინცაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში.**

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

3. **ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა.**

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე მერაბ ნაკაშიძე

1. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 20 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად წარმოდგენილია (წერილის ნომერი: 95-95260791; წერილის თარიღი:20.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ".

საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებს წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში საკრებულოს 2025 წლის მუშაობის შესახებ".

2. მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2026 წლის 13 მარტს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად შემოვიდა (განცხადების ნომერი: 12-95260723-95; განცხადების თარიღი:13.03.2026) „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში".

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო წარმოდგენილი ანგარიში.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
განხილულ იქნას „ქედის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში“ საკრებულოს მორიგ სხდომაზე.

3.მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმა შემდეგი სახით:

	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	**განხილვის თარიღი**	**საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე**	**საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე**	**პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე**
1	შპს„ქედისკომუნალურსერვისი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა.	აპრილი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს„ქედისკომუნალურსერვისი“-ს დირექტორი
2	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა-განხილვა.	მაისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ააიპ „ქედის ისტორიული მუზეუმი“-ს დირექტორი
3	აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსაგან ინიცირებული საკითხების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება.	პერიოდულად	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე
4	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.	ივნისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს ბიუროს სხდომაზე	კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

დამტკიცებულ იქნას ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის 2026 წლის მეორე კვარტალის სამუშაო გეგმა წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:30 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის
დამხმარე მოსამსახურე
კომისიების საქმიანობის
ორგანიზაციულ საკითხებში **თეონა ჯინჭარაძე**